სსიპ - სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

113 რუსთაველის ქუჩა
0800 ახალციხე, საქართველო
+995 591 411 288
rector@sjuni.edu.ge

31/01/2026

MES 1 26 0000095897

აკადემიური საბჭოს დადაგენილება
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების“ მე-11 მუხლის მე-6 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით არჩეულ იქნეს ვახტანგ თაქთაქიძე.
2. დადგენილება ძალაშია 2026 წლის 01 თებერვლიდან.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. საფუძველი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის 2026 წლის 30 იანვრის შემაჯამებელი ოქმი.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორი ბერიძე მაკა

ბიბლიოგრაფიული
მზაბეჭდსმეღია
ელექტრონული